Bakhvi HPP

# შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”

# პროცედურა ეთიკის ნორმებისა და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ

პროცედურა ეთიკის ნორმებისა და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ დამტკიცებულია
კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

**2025**

## სარჩევი


შესავალი ..... 3

მიზანი ..... 3

მოქმედების არეალი ..... 3

ანგარიშგების მექანიზმები ..... 4

შემოსული ანგარიშებისა და საჩივრების მართვა ..... 4

ჩანაწერების წარმოება და მონიტორინგი ..... 6

პასუხისმგებლობები ..... 6

უწყვეტი გაუმჯობესების მიდგომა ..... 6

დასკვნა ..... 7

წლიური გადახედვის პროცესი ..... 7

# შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"
# პროცედურა ეთიკის ნორმებისა და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ

## შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" (შემდგომში - „კომპანია") გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1" ჰესის მშენებლობას. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი" (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის" ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ$^3$/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონეა ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან - 1383.0 მ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

## მიზანი

მოცემული პროცედურა განსაზღვრავს მკაფიო და სტრუქტურირებულ პროცესს ნებისმიერი სავარაუდო ან რეალური დარღვევის შესახებ ანგარიშგებისთვის, რომელიც ეხება ბახვი 1 ჰესის ოპერირების ყველა მიმართულებას. მისი მიზანია გამჭვირვალობის ხელშეწყობა, დროული რეაგირების უზრუნველყოფა და კომპანიის მასშტაბით ეთიკური ქცევისა და შესაბამისობის უმაღლესი სტანდარტების დაცვა.

## მოქმედების არეალი

მოცემული პროცედურა ვრცელდება ბახვი 1 ჰესის თითოეულ თანამშრომელზე, დირექტორთა საბჭოზე, კონტრაქტორებზე და დაინტერესებულ მხარეებზე და მოიცავს შემდეგი ტიპის დარღვევებს:

- **კორუფცია ან ქრთამი:** ქრთამის აღებაში, შეთავაზებაში ან დამალვაში მონაწილეობა, ასევე სხვა კორუმპირებული ქმედებების განხორციელება, მათ შორის არაკანონიერი უპირატესობების შეთავაზება ან მიღება ბიზნეს გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად.
- **დისკრიმინაცია ან შევიწროება:** ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია ან შევიწროება, რომელიც ეფუძნება რასას, სქესს, ასაკს, რელიგიას, შეზღუდულ შესაძლებლობებს ან სხვა დაცულ მახასიათებლებს, მათ შორის სექსუალურ შევიწროებას.

- **მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალურობა:** დარღვევები, რომლებიც მოიცავს მომხმარებლის მონაცემებზე უნებართვო წვდომას, არასწორ გამოყენებას ან მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წარუმატებლობას, რაც უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის რეგულაციებს.
- **ინტერესთა კონფლიქტი:** სიტუაციები, როდესაც პირადი ინტერესები შეიძლება გავლენას ახდენდეს პროფესიულ მოვალეობებზე და ხელს უშლიდეს ბიზნეს გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას.
- **ფულის გათეთრება ან კომპანიის შიდა სახის ინფორმაციით ვაჭრობა:** ფინანსურ საქმიანობაში მონაწილეობა ან მისი ხელშეწყობა, რაც მიზნად ისახავს უკანონო სახსრების წარმომავლობის დამალვას, ან კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.

## ანგარიშგების მექანიზმები

- **ღია კარის პოლიტიკა**
  ბახვი 1 ჰესის მენეჯმენტი ხელს უწყობს და ახალისებს ღიაობის პოლიტიკას, თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა ყოველგვარი შიშის გარეშე საკუთარი შეშფოთება პირდაპირ აცნობონ ხელმძღვანელ პირს, კომპანიის დირექტორს, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობითი საკითხების მენეჯერს, ან გამოიყენონ სპეციალური საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა საჩივრების მექანიზმი. ყველა შემთხვევა განიხილება კონფიდენციალურად და უდიდესი სიფრთხილით.
- **ანონიმური ანგარიშგების შესაძლებლობა**
  იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ ანონიმურობა უფრო სასურველია, ბახვი 1 ჰესი უზრუნველყოფს ანონიმური მოხსენების მექანიზმს, როგორიცაა საცხოვრებელი კემპის ტერიტორიაზე განთავსებული საჩუვრების ყუთი. ამ არხის საშუალებით შეშფოთების დაფიქსირება შესაძლებელია მომხსენებლის იდენტიფიცირების გარეშე და იცავს ინდივიდებს ნებისმიერი პოტენციური უკუშედეგისაგან.
- **ციფრული ანგარიშგების არხები**
  ანგარიშები შეიძლება წარდგეს უსაფრთხო ციფრული პლატფორმის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ და კონფიდენციალურ კომუნიკაციას. თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის მისამართი: https://bakhvihpp.com/ ან გააგზავნონ საჩივრები ჩვენი პლატფორმის საშუალებით შემდეგ მისამართზე: https://bakhvihpp.com/en/kontaqti/. ეს არხები შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს სწრაფი და უსაფრთხო რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე. კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, ყველა ონლაინ საჩივარი იგზავნება იმ ელექტრონულ მისამართზე, რომელსაც მხოლოდ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი მართავს. კონტროლირებადი წვდომა სისტემაზე, უზრუნველყოფს, რომ მგრძნობიარე ინფორმაციას მხოლოდ უფლებამოსილი პირები ამუშავებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მომჩივანს სურს მიიღოს უკუკავშირი, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს საკუთარი ელექტრონული ფოსტის მისამართი, რადგან კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად პასუხის გაცემა მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

## შემოსული ანგარიშებისა და საჩივრების მართვა

**კონფიდენციალურობა და დაცვა:** თითოეული საჩივარი თუ შეშფოთება მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვით განიხილება. კეთილსინდისიერად წარმოდგენილი ანგარიშების ავტორები დაცულნი არიან შურისძიების ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის გათავისუფლების, შემცირების ან შევიწროებისგან. კონფიდენციალურობის დაცვა კრიტიკულად

მნიშვნელოვანია ნდობის შექმნისა და ორგანიზაციის შიგნით გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის. საჩივრები ინახება დაცულ შიდა ვირტუალურ საცავ სისტემაში, რომელიც შექმნილია უნებართვო წვდომის თავიდან ასაცილებლად და ყველა შეტყობინების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. საჩივრებზე წვდომა მკაცრად შეზღუდულია და მასზე ხელმისაწვდომობა აქვთმკაცრად განსაზღვრულ პირებს, კონკრეტულად გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერს, რაც უზრუნველყოფს, რომ მგრძნობიარე ინფორმაციას მხოლოდ უფლებამოსილი პირები ამუშავებენ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს საჩივრებისა თუ შეშფოთებების დასაფიქსირებლად, რაც ინდივიდებს აძლევს საშუალებას, განაცხადონ საკუთარი პრობლემები და დარწმუნებით იცოდნენ, რომ მათი ინფორმაცია დაცულია.

**მოკვლევის პროცესი:** საჩივრის მიღებისთანავე იწყება სტრუქტურირებული მოკვლევის პროცესი

- წინასწარი მიმოხილვა: გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი კომპანიის დირექტორთან ერთად განახორციელებს პირველად შეფასებას, რათა განსაზღვრონ საჩივრის ან შეშფოთების საკითხის სიმართლის შესაბამისობა და დაადგინონ მოკვლევის შემდგომი ეტაპების საჭიროება. ეს კოლაბორაციული მიდგომა უზრუნველყოფს თითოეული საჩივრის დეტალურ შეფასებას, შესაბამისი ექსპერტიზის გამოყენებით, რათა დადგინდეს შემდგომი ქმედებების საჭიროება. გამჭვირვალობისა და მთლიანობის პრინციპებზე დაფუძნებით, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი და კომპანიის დირექტორი ერთობლივად მუშაობენ თითოეული შემოსული საკითხის საფუძვლიანად და პასუხისმგებლიანად მოგვარებაზე.
- სიღრმისეული გამოძიება: საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, იწყება ფორმალური გამოძიება, რომელიც მოიცავს შესაბამისი დეპარტამენტების ჩართულობას. მოკვლევის პროცესში შეიძლება ჩატარდეს ინტერვიუები, დოკუმენტების განხილვა. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა თანამშრომლობა გარე ექსპერტებთან. თითოეული ეტაპი დეტალურად ფიქსირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.
- პოტენციური დარღვევების გამოძიების მიზანია თითოეული საქმე დასრულდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ვადებში, რაც დამოკიდებულია მათ სირთულეზე. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი თითოეულ საკითხზე რეაგირებას მოახდენს მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 30 დღეში, დარღვევის ბუნებისა და სიმძიმის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა ორი რეაგირების შემდეგაც გადაუწყვეტელი რჩება, ის შეიძლება გადაეცეს შესაბამის ინსტანციებს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

**მაკორექტირებელი ქმედებები:** დადასტურებული დარღვევები გამოიწვევს მიზანმიმართულ გამოსასწორებელ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს პრობლემის გადაჭრას და მსგავსი შემთხვევების განმეორების პრევენციას. აღნიშნული ქმედებები შეიძლება მოიცავდეს:

- **დისციპლინური ზომები:** დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ შესაბამისი დისციპლინური ზომების გატარება, მათ შორის დასაქმების შეწყვეტა.
- **სამართლებრივი ქმედებები:** საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისობის დაცვისთვის სამართლებრივი პროცედურების დაწყება
- **ცვლილებები კომპანიის შიდა პოლიტიკაში:** შიდა პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროცედურების გადახედვა და განახლება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი პრობლემები.

დამატებითი ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების ინიციატივები:

- **ეთიკისა და შესაბამისობის ტრენინგი:** რეგულარული სესიები, რომლებიც მოიცავს ძირითად ეთიკურ სტანდარტებს, შესაბამისობის მოლოდინებს და მარეგულირებლის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია ჰიდროელექტროსადგურის ოპერაციებისათვის. ამ სესიების მიზანია თანამშრომლებს დაეხმაროს ღირებულებებისა და სამართლებრივი ვალდებულებების გაგებასა და დაცვაში.
- **გარემოსდაცვითი ცნობიერების ტრენინგი:** არსებობს სტრუქტურირებული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი დარღვევებისა და არასწორი ქმედებების შესახებ ეთიკისა და შესაბამისობის დარღვევების იდენტიფიცირებასა და ანგარიშგებას. ამ მიდგომით უზრუნველყოფილია, რომ თანამშრომლები იცნობდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას კომპანიის სტანდარტების დაცვაში და ჰქონდეთ მკაფიო, კონფიდენციალური არხი შეშფოთების გამოსახატად.
- **საზოგადოებასთან ურთიერთობა და კულტურული სენსიტიურობის ტრენინგი:** ფოკუსირებული სესიები ეფექტური კომუნიკაციის, კონფლიქტების გადაჭრის და კულტურული ცნობიერების საკითხებზე, რათა გაუმჯობესდეს ურთიერთობები ადგილობრივ თემებთან. ეს ტრენინგი ეხმარება ნდობის შექმნას და დადებითი ურთიერთობების განვითარებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან.
- **პერიოდული შეხსენებითი სესიები:** აძლიერებს შესაბამისობისა და ღირებულებების შესახებ მრავალჯერ გაცნობილ ძირითად მესიჯებს და თითოეული თანამშრომლისთვის უზრუნველყოფს ეთიკური ქცევის პრიორიტეტად ჩამოყალიბებას.

## ჩანაწერების წარმოება და მონიტორინგი

ბახვი 1 ჰესი აწარმოებს დეტალურ ჩანაწერებს ყველა დარღვევის, მოკვლევის და მათი შედეგების შესახებ. ეს ჩანაწერები უსაფრთხოდ ინახება, რეგულარულად განიხილება და ანალიზდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერის მიერ, რათა გამოვლინდეს ტენდენციები ან სისტემური საკითხები, რომლებიც მოითხოვს ყურადღებას. ეს ხელს უწყობს შიდა კონტროლის გაუმჯობესებას და რისკების შემცირებას.

## პასუხისმგებლობები

**დირექტორთა საბჭო:** გააჩნია საბოლოო პასუხისმგებლობა აღნიშნული პოლიტიკის დამტკიცებაზე, უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ორგანიზაციის ეთიკურ სტანდარტებთან და სტრატეგიულ მიზნებთან.

- დირექტორი: პასუხისმგებელია შექმნას ისეთი გარემო, სადაც დასაქმებულები თავს იგრძნობენ კომფორტულად, გამოხატონ შეშფოთება ან დააფიქსირონ საჩივარი, რომელზეც უზრუნველყოფილი იქნება დროული და შესაბამისი გადაწყვეტილება.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი: პასუხისმგებელია პროცესის სრულ მართვაზე, საჩივრის ან შეშფოთების მიღებიდან და მისი მოკვლევისა და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებამდე, მენეჯმენტისთვის შედეგების ანგარიშგების ჩათვლით. იგი ასევე ახორციელებს პროცესის რეგულარულ გადამოწმებას.
- ყველა დასაქმებული: ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს ნებისმიერი საეჭვო დარღვევის შესახებ და დაიცვას კომპანიის პოლიტიკა.

## უწყვეტი გაუმჯობესების მიდგომა

უწყვეტი განვითარება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ანგარიშგების სისტემის ეფექტიანობისა და შედეგიანობის უზრუნველსაყოფად, რეგულარულად ჩატარდება აუდიტი ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და

მდგრადობის ხელმძღვანელისა და მოწვეული მესამე მხარის მიერ. თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იქნება პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის.

## დასკვნა

მოცემული პროცედურა უმნიშვნელოვანესია ბახვი 1 ჰესში მთლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის კულტურის ჩამოყალიბებისთვის. მკაფიო, ხელმისაწვდომი და კონფიდენციალური ანგარიშგების არხების უზრუნველყოფით, ჩვენ ვაძლევთ თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას, დაიცვან ის ეთიკური სტანდარტები და შესაბამისობა, რომლებიც ჩვენი ოპერირების საფუძველს წარმოადგენს.

## წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, ეთიკის ნორმებისა და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ პროცედურა სრულყოფილად გადაიხედება კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერის მიერ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავდეს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს. ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული ეთიკის ნორმებისა და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგების შესახებ პროცედურა საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.